პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2023 წლის_ _ დეკემბერი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — ლევან ჩანქსელიანი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირი) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „საბავშვო ბაღების გაერთიანება“

ს/კოდი 221281636 5400ქ. წყალტუბო ვაჟა-ფშაველას ქ. N1 T (0436)22 00 72

N 31-1/88
21/12/2023

88-31-1-2-202312211338

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით ანგარიშს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

პატივისცემით,

გიორგი იობიძე

მმართველი

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

ანგარიში ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების''

მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

სკოლამდელი ასაკი ბავშვის განვითარების უმნიშვნელოვანეს პერიოდს წარმოადგენს.ამ დროს ყალიბდება ყველა ის ძირითადი უნარები, რომელთაც შემდგომში ბავშვი გამოიყენებს როგორც სკოლაში,ასევე მთელი ცხოვრების განმავლობაში.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს N65 განკარგულებით 2007 წლის 24 ივლისს დაფუძნდა ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება''. 2015 წლის 22 თებერვალს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის N 31 267 ბრძანების საფუძველზე მოხდა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების რეორგანიზაცია. შევიდა რიგი ცვლილებები და ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებად''. 2007 წელს ფუნქციონირებდა 4 საბავშვო ბაღი,ამჟამად ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი: ქალაქის N 1,N 2,N 3,N 4, აგრეთვე სოფ.გვიშტიბის,მაღლაკის,ფარცხანაყანევის,კოპიტნარის დასახლების,მესხეთის,მუხიანის,გეგუთის,პატრიკეთის,ტყაჩირის,ოფშკვითის,საყულიის, ახალი საყულიის,გუმბრის, ოფურჩხეთის, რიონის, ცხუნკურის,ქვიტირის,ხომულის,თერნალის და N24 საბავშვო ბაღები 1500 აღსაზრდელით.

საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების გახსნა მოხდა ეტაპობრივად. აღზრდა და უნარჩვევების ჩამოყალიბება ხდება 63 სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფში.

2023 წლის 11 სექტემბრიდან ფუნქციონირება დაიწყო N24 საბავშვო ბაღმა(მდებარე 9 აპრილის ქ.N 15 - ში)

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ'', რის საფუძველზეც საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმა დაიწყო. კანონის მიზანია ყველა ბავშვისთვის სკოლამდელი მომსახურეობა იყოს ხელმისაწვდომი და თანასწორი ,ხარისხი გაუმჯობესებული.

რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტის მერიამ, საკრებულომ და ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ'' სისტემის სწრაფი განვითარებისათვის კანონის შესაბამისი სტანდარტების აღსრულება იმთავითვე დაიწყო.

კანონის შესაბამისად ხდება სკოლამდელ აღზრდისა და განათლების პრინციპების დაცვა: ბავშვთა უფასო აღზრდა,განათლება და კვება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება ნებაყოფლობითია და ხელმისაწვდომია შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის . დაინარგა სასკოლო მზაობის პროგრამა.

ეტაპობრივად ხდება სკოლამდელი აღზრდის სისტემასთან დაკავშირებული,დამტკიცებული ეროვნული სტანდარტების აღსრულება,როგორიცაა: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი ,ინფრასტრუქტურის ,კვების ,წყლის ,სანიტარიის ,ჰიგიენის სტანდარტები და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი.

ბავშვთა უსაფრთხოების მიზნით ზედმიწევნით დაცულია ყველა შესაბამისი წესი: სახანძრო უსაფრთხოების ,კვების,წყლის, სანიტარიის, ჰიგიენის და ინფრასტრუქტურის კუთხით.

2023 წლის განმავლობაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობდა გაერთიანების მიერ დამტკიცებული გეგმით,ასევე ვხელმძღვანელობდით საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცემული მეთოდური პრაქტიკული სახელძღვანელოებით: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში და რჩევები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის.

გაერთიანება ჩართულია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განთლების დაწესებულების ავტორიზაციის პროცესში და გაიარა პირველადი ელექტრონული რეგისტრაცია.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განახლებამდე ყველა საბავშვო ბაღში ჩატარდა სადეზინფექციო, საზენდიფენფექციო და სადერატიზაციო სამუშაოები, აღნიშნული სამუშაოები შემდგომაც გაგრძელდა გაწერილი გეგმა-გრაფიკით.

ტექნიკური მომსახურეობის კოორდინატორების მიერ დროულად ხდებოდა საბავშვო ბაღებში დაზიანებული სანტექნიკისა და ელექტრო გაყვანილობების შეკეთება - შეცვლა.

ადმინსტრაციული სამსახურის კუთხით მომზადდა ყველა ის აუცილებელი სამართლებრივი დოკუმენტი ,რომელიც აუცილებელი იყო გაერთიანების ფუნქციონირებისთვის . დროულად ხდებოდა შემოსული და გასული კორესპონდეციის მიღება, გაგზავნა და გატარება შესაბამის წიგნებში.

გაერთიანების ადმინისტრაციის ,საბავშვო ბაღების თანამშრომლებზე მოხდა შრომითი ხელშეკრულებების გაგრძელება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი იქნა შესაბამისი დოკუმენტები,რის საფუძველზე გაერთიანებას გადმოეცა ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობის რეესტრიდან.ამ ამონაწერის საფუძველზე გაერთიანებას მიეცა საქმიანობის გაგრძელების უფლება.

წლის განმავლობაში საბავშვო ბაღებში ჩატარდა საგაზაფხულო და საშემოდგომო თემების პრეზენტაციები, გამოსაშვები ღონისძიებები.

1 ივნისს სპორტის სასახლეში ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ,,მხიარული სტარტები'' რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალაქის ოთხივე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა.წლის ბოლოს ყველა საბავშვო ბაღში ჩატარდება საახალწლო ღონისძიებები, ასევე ყველა აღსაზრდელს გადაეცემა საახალწლო საჩუქრები.

2023 წლის განმავლობაში მატერიალური ტექნიკური ბაზის მოწესრიგეგების მიზნით ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

შეძენილ იქნა:

- სადეზინფექციო ხსნარებ ი- 10778 ლარის
- სამეურნეო საქონელი - 35997 ლარის
- საკანცელარიო საქონელი - 24651ლარის
- წყლის გამათბობლები, ელექტრო ღუმელები,გამწოვები - 13041
- მაცივრები - 7440 ლარის
- მუსიკალური ინსტრუმენტი 400 ლარის
- სამზარეულო ინვენტარი 48852 ლარის (ყველა საბავშვო ბაღში შეიცვალა აღსაზრდელებისათვის ჭურჭლის ნაკრები).
- სოფ.ტყაჩირის N 13 საბავშვო ბაღში გარემონტდა ერთი ოთახი. ღირებულება - 12075 ლარი.

- საბავშვო ბაღებისათვის შეძენილი იქნა ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში ,,პრაქტიკული და მეთოდური სახელმძღვანელოები'' - 4900 ლარის.
- სოფ.ფარცხანაყანევის N7 და სოფ.ქვიტირის N20 საბავშვო ბაღებში ჩატარდა საკანალიზაციო სისტემის მოწყობითი სამუშაოები - 33590 ლარის.
- გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღებში გაზიფიცირების და გათბობის სისტემების გაზიფიცირების სამონტაჟო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა - 302000 ლარი.
- მოხდა სტიქიის შედეგად დაზიანებული N 2 საბავშვო ბაგა-ბაღის სახურავის ნაწილის შეცვლა და ადმინისტრაციის ოთახებს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები რომლის ღირებულებამაც შეადგინა - 449979 ლარი.
- 2023 წელს გაერთიანების თანამშრომლებმა გიარეს აღმზრდელ პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდული. აღნიშნული ტრენინგის ღირებულებამ შეადგინა - 44800 ლარი.
- მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება 42 150 ლ. გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისთვის საახალწლო საჩუქრების შესაძენად.

გაერთიანება აგრძელებს ყოველდღიურ საქმიანობას, რათა მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს.

ა(ა)ი.პ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საბავშვო ბაღების გაერთიანების"

მმართველი: / გ.იობიძე/